ევროკავშირის გრანტი

საინვესტიციო პროექტები-საპილოტე პროგრამა

1.საპილოტე რეგიონებში ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება ამ ეტაპზე ერთი პროექტი **„ქალაქ ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარედ სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები“,** სახელშეკრულებო თანხა 4553220.00 ლარი. პროექტი გარდამავალია, დაიწყო 2021 წელს და დასრულდება 2022 წელს.

პროექტი ითვალისწინებს საფეხმავლო ბილიკის, ბულვარის, ფანჩატურის, შადრევნის, მდინარეზე გადასასვლელი საფეხმავლო ხიდის, ასევე ღია ტიპის კულტურული დანიშნულების ობიექტის (ამფითეატრის) და სპორტული ინფრასტრუქტურის (ჭადრაკის დაფა) მოწყობას. ასევე გათვალისწინებულია გარე განათების, გამწვანების სამუშაოების განხორციელება და ადაპტირებული გარემოს შექმნა შშმ პირებისთვის.

აღნიშნული სივრცე განკუთვნილი იქნება რეგიონალური დანიშნულების მქონე სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩასატარებლად, მათ შორის ფესტივალების (აგროფესტივალი, ღვინის ფესტივალი და ა. შ.), ხელოვნებისა და ადგილობრივი მსუბუქი რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვებისთვის, სპორტული შეჯიბრებების, ასევე რეგიონალური დანიშნულების პროექტების პრეზენტაციისთვის და ტრენინგ-სემინარების ჩასატარებლად.

2.ქ. ამბროლაურში მრავალფუნქციური ღია სპორტული კომპლექსის მშენებლობის სამუშაოები -სახელშეკრულებო ღირებულება არის 905556.80 ლარი.

აღნიშნული პროექტი იქნება სიახლე და დამატებით სტიმული მუნიციპალიტეტისათვის, რომელსაც დადებითი გავლენა ექნება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე, მათ შორის ახალგაზრდული სფეროს, სპორტის წარმომადგენლებზე, პროექტით გათვალისწინებული მრავალფუნქციური ღია სპორტული კომპლექსი აერთიანებს ჩოგბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის მოედნებს დამხმარე ინფრასტრუქტურით. პროექტი მიმდინარეა და დასრულდება 2022 წლის ნოემბრის ბოლოს.

გარდა ამისა საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს განლაგებულია საერთაშორისო სტანდარტების მქონე 2 საფეხბურთო მოედანი, კეთილმოწყობილი დამხმარე ინფრასტრუქტურით, რაც ერთიანობაში ქმნის საუკეთესო წინაპირობას, რეგიონული დანიშნულების სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

3.ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 წყაროს თვალის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლის საპროექტო ღირებულებაა 134751.00 ლარი.

პროექტი ითვალისწინებს 8 წყაროს თვალის მოპირკეთებას, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში, სადაც განთავსებულია კულტურული მემკვიდრეობის, ეთნოგრაფიული და სხვა მნიშვნელოვანი სტატუსის

მქონე ობიექტები, რაც კიდევ უფრო გაზრდის აღნიშნული წყაროების დანიშნულებას და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს. პროექტი დასრულებულია.

4. **გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) საგრანტო პროექტი - „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზნით სკვერების რეაბილიტაცია“.**

პროექტის სრული ღირებულება 137 000 ლარს შეადგენს და ორ კომპონენტს მოიცავს. პირველი ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტისთვის საკადასტრო-აზომვითი ნახაზების აპარატურის შეძენას და აღნიშნული მიმართულებით სამი თანამშრომლის გადამზადებას, რაც გამოიწვევს მუნიციპალური დანახარჯების შემცირებას და დაზოგილი სახსრების პრიორიტეტული მიმართულებებით გადანაწილებას. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, ითვალისწინებდა 2 სკვერის რეაბილიტაციას (ვაჟა-ფშაველასა და კოსტავას ქუჩების მიმდებარედ) და შესაბამისი საგამოფენო სივრცეების შექმნას, რაც სტიმულს მისცემს ადგილობრივ მცირე მეწარმეებს მეტად მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზაცია.